ოქმი:**ო31. 3123261001**
თარიღი:**18/09/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №9

ქ. ლანჩხუთი

15. 09. 2023 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმარი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მიმართა დარბაზში მყოფთ, რათა წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაღუპული ადამიანების ხსოვნას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ არჩეულში არსებული პირველი ქუჩისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული თამაზ ტყეშელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგვზიანში მე-2 ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-2 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული პაატა პაპიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-5 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ნიკა იმნაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

7. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 26 სექტემბერი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 19 ივლისს N1334 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით შემცირდა გზების სარეაბილიტაციო (ორგ.კოდი 0201) სამუშაოების დაფინანსება 35740 ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 22 აგვისტოს N1530 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით გზების რეაბილიტაციის (ორგ.კოდი 0201) დაფინანსება გაიზარდა 1550000 ლარით. აქედან, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შუხუთიდან სოფელ გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია 300001 ლარით, მათ შორის რეგ,ფონდიდან-285000 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტი-15001 ლარი; მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია გაიზარდა 869800 ლარით, მათ შორის რეგ,ფონდის ხარჯზე-826310 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება- 43490 ლარი. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჭალაში გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 37084 ლარით, რეგ.ფონდით-35229 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება-1855 ლარი; ქალაქ ლანჩხუთში ქუჩების რეაბილიტაციაზე მიიმართა 424696 ლარი, აქედან რეგ.ფონდიდან 403461 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება- 21235 ლარი. აღნიშნულ პროექტებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიმართული 81581 ლარის უზრუნველყოფა განხორციელდეს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის დაფინანსების 81581 ლარით შემცირების ხარჯზე, ამიტომ აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მიზანშეწონილია დაიწყოს ბიუჯეტის ცვლილებაზე ადმინისტრაციული წარმოება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი:. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის აგვისტოს თვეში საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 3306439.2 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1446375 ლარი; შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით მიღებულია 1860064.196 ლარი, მათ შორის დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 1092372.35 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 729874.38 ლარი, მათ შორის შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 245202 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 457012.80 ლარი.

საანალიზო პერიოდში გაწეულია 3459472 ლარის ხარჯი, მათ შორის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 431302 ლარი, არაფინანსური აქტივების მუხლით გახარჯულია 2089059 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია 468702 ლარი, მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 245333 ლარი.

განვლილ საფინანსო პერიოდში შრომის ანაზღაურება დროულად იქნა გაცემული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ არჩეულში არსებული პირველი ქუჩისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული თამაზ ტყეშელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და მაჟორიტარი დეპუტატი შემოსულია ინიციატივით, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ არჩეულში არსებულ პირველ ქუჩას მიენიჭოს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული თამაზ ტყეშელაშვილის სახელი. სამოტივაციო წერილის მიხედვით თამაზ ტყეშელაშვილი 1970 წლის 18 ივლისს დაიბადა სოფელ არჩეულში, პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თავისი კაცთმოყვარე ბუნებით. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პროფსასწავლებელში, იბრძოდა აფხაზეთში და მიუხედავად ბრძოლის დროს მიღებული ტრავმისა ფრონტის ხაზი არ დაუტოვებია, დაიღუპა 1993 წლის 24 სექტემბერს, მაგრამ მისი მშობლიურ სოფელში გადმოსვენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2019 წლის 17 მარტს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის

სოფელ არჩეულში არსებული პირველი ქუჩისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული თამაზ ტყეშელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგვზიანში მე-2 ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი აქვს ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის სამოტივაციო წერილი ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგვზიანში მე-2 ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების თაობაზე. წერილის მიხედვით ამბროსი აფხაზავა დაიბადა 1911 წელს სოფელ ნიგვზიანში, სადაც მიიღო საშუალო განათლება, სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ 1984 წლამდე მასწავლებლად მუშაობდა ნიგვზიანის სკოლაში. მან დიდი წვლილი შეიტანა მაშინდელი ახალგაზრდების სწავლა-განათლების საქმეში, უანგაროდ ამზადებდა ყველა მსურველს, რითაც ხელს უწყობდა მათ სამომავლო განვითარებისკენ და კარიერული წარმატებისკენ მიმავალ გზაზე, რითაც სოფლის მოსახლეობის პატივისცემა დაიმსახურა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგვზიანში მე-2 ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების

მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-2 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული პაატა პაპიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის და მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით შემოსულია სამოტივაციო წერილი, რომლის მიხედვითაც ისინი ითხოვენ სოფელ წყალწმინდის მე-2 ქუჩისთვის (ბადრი თავაძის სახლიდან ხუბუკელაშვილების სახლის ჩათვლით) აფხაზეთის ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული პაატა პაპიძის სახელის მინიჭებას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-2 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული პაატა პაპიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-5 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ნიკა იმნაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის და მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით შემოსულია სამოტივაციო წერილი, რომლის მიხედვითაც ისინი ითხოვენ სოფელ წყალწმინდის მე-5 ქუჩისთვის (პეპელა მარგალიტაძის სახლიდან ჯემალ ჩხარტიშვილის სახლის ჩათვლით) აფხაზეთის ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული ნიკა იმნაძის სახელის მინიჭებას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-5 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ნიკა იმნაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა თუ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული ადამიანების დასახმარებლად გაიხსნება სპეციალური ანგარიში, რომელზეც ნებისმიერ მსურველს ექნება თანხის ჩარიცხვის საშუალება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი